საქართველოს მთავრობის

განკარგულება №1096

2015 წლის 1 ივნისი

ქ. თბილისი

ფიზიკური პირის გიორგი დადიანიძის საქმიანობის ხელშესაწყობად რიგ ღონისძიებათა განხორციელების თაობაზე

„სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის 49^1 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, ფიზიკური პირი გიორგი დადიანიძე(პ/ნ 59001100111) გათავისუფლდეს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალ სსიპ – სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოსა და გიორგი დადიანიძეს შორის 2014 წლის 2 ივლისსა და 2014 წლის 8 ივლისს გაფორმებული იჯარის ხელშეკრულებების 3.1.2 მუხლებით გათვალისწინებული ვალდებულების დარღვევისათვის, ამავე ხელშეკრულებების 6.3 მუხლების საფუძველზე დაკისრებული პირგასამტეხლოსგან.

პრემიერ-მინისტრი **ი. ღარიბაშვილი**